13/05/2024

MES 6 24 0000509696

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 30 აპრილს 12:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Apr 30, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=82822763661
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234
საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ნინო ყურშუბაძე - სასწავლო სამეცნიერო ცენტრის უფროსი
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი
ირინა ინწკირველი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი
ნანა ბერიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
მიხეილ თევდორაძე - „გემის ხარატი-შემდუღებლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი
ნატალია პატარიძე - დირექტორი

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ირმა ღარიბაშვილი
თეა მახათელაშვილი
თამარ ახალაძე
ტიტე მემმარიაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის ხარატი-შემდუღებელი“ /01852/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01882/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „თაფლის წარმოება“ /01880/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი“ /01873/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ /01420/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი“ /01659/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
7. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გიდი“ /01498/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის ხარატი-შემდუღებელი“ /01852/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 მარტის №297498 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „გემის ხარატი-შემდუღებლის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 28 მარტს განახორციელა ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 1.5 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს

რეკომენდებულია, განხორციელდეს „გემის ხარატი-შემდუღებლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მინიჭებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის ცვლილება. დაწესებულებამ პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონედ განსაზღვრა მე-5 დონე.

საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ განისაზღვრა მე-5 დონე, თუმცა ვიზიტის დროს დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის დონედ განისაზღვრა მე-3 დონე, რადგან პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით, სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს, პროგრამა არ მოიცავს ზედამხედველობის, მართვისა და სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების საკითხებს.

ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

მიზანშეწონილია, განხორციელდეს პროფესიული გადამზადების პროგრამაში იმ სასწავლო რესურსის ჩამატება, რომელიც გააჩნია საკუთრებაში შრომის უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების კუთხით.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა - 22 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53.

პროგრამის ხანგრძლივობა - 22 კვირა, სწავლება განხორციელდება დაწესებულების AC გარემოში.

პროგრამის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტს თან ერთვის საკრუინგო კომპანიების წერილები კადრების საჭიროებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული კომპანიებია: შპს „ქოლუმბია შიფმენეჯმენტი ჯორჯია; შპს „სააგენტო პოსეიდონი“; შპს „GEO-CREWING“; შპს „EUROSTAR MARINE“; შპს „ლუსენთ ჯორჯია“; შპს „ჯორჯიან სი გეით“.

საკრუინგო კომპანიებს, მიმდინარე ეტაპზე, შეუძლიათ დაასაქმონ ჯამში დახლოებით 100-ზე მეტი კადრი წელიწადში „გემის ხარატი-შემდუღებლის“ სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ საკრუინგო კომპანიების მხრიდან იკვეთება იმის საჭიროება, რომ დასაქმებულს შეეძლოს სახარატო და შედუღების სამუშაოების შესრულება. აკადემიამ მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ “საკრუინგო კომპანიების მხრიდან იკვეთება მზარდი ინტერესი გემის რიგით და დამხმარე (შემდუღებელი, ხარატი) პოზიციების კვალიფიციურ სპეციალისტებზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, №05/234 წერილში (18.02.2023 წ.) გამოხატა სრული მხარდაჭერა პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: განათლება - უმაღლესი ან პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკური მიმართულებით - შემდუღებელი, ტექნიკოს-გემთშემკეთებელი, მექანიკოსი, ლითონის დამუშავების სპეციალისტი, ხარატი, ზეინკალი, მფრეზავი მუშაობის 2 წლიანი გამოცდილებით ან უმაღლესი ან პროფესიული საზღვაო განათლების მქონე სავაჭრო და თევზსაჭერი გემების მეზღვაურები არანაკლებ 12 თვიანი დამტკიცებული ნაოსნობის გამოცდილებით; უკვე არსებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, სერთიფიკატი, მოწმობა. ასაკი-18 წელი. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა №IV-100/ა („მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება). აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება (პროფესიის მოსინჯვის მეთოდით).

სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

დაწესებულება საკუთარ ბაზაზე ფლობს 2 სახელოსნოს და ერთ სამედიცინო მომზადების კაბინეტს. აღნიშნული სახელოსნო და კაბინეტი აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით და თვალსაჩინოებებით. ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო აუდიტორიისა და ლაბორატორიული გარემოს დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი. შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 9 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუირებით დასტურდება განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით.
აკადემიას კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელს. ინტერვიუირებისას დადგინდა მათი მზაობა განვითარებისკენ. ისინი ორიენტირებულნი არიან ხარისხზე.
დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებით საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ყურშუბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ იზიარებენ დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის კომპლექსური, პროგრამის კურსდამთავრებულებს ეძლევათ საშუალება დასაქმდნენ დარგის სფეროში და ადასტურებენ, რომ ისინი დაკავებული იქნებიან რიგითი კონტიგენტის ფარგლებში, შესაბამისად ეთანხმებიან დარგის ექსპერტის მიერ განსაზღვრულ დონეს. სასწავლო რესურსთან გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში მან განაცხადა, რომ ჩამოტვირთული იქნა ინტერნეტიდან მასალა და შესაბამისად ეს რესურსი ხელმისაწვდომი იქნება მსმენელებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და წარმატება უსურვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის ხარატი-შემდუღებელი“ /01852/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - გემის ხარატი-შემდუღებელი /01852/ **(დანართი 1)**.

საბჭოს სხდომას 12:20 წუთზე შემოუერთდა საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი.

2. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01882/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 მარტის №292244 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 27 მარტს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს. კერძოდ,
ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას
რეკომენდებულია, დაწესებულებამ მემორანდუმი ჩაანაცვლოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით თეა მახათელაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1.
მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც გაწერილია, რომ ღვინის წარმოება ძირითადად სოფლებში, საოჯახო მარნებში ხდება, თუმცა მათ არ ჰყავთ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს განხორციელდეს წარმოდგენილი პროგრამა რეგიონის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია რომ, წარმოდგენილი პროგრამა არაფორმალური განათლების ფარგლებში, საპილოტე რეჟიმში უკვე წარმატებით განახორციელა ჭიათურის მულტიფუნქციურმა ცენტრმა. პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობაში და დაადასტურა, რომ აღნიშნული მიმართულება მოთხოვნადი და ხელსაყრელია ადგილობრივი ფერმერებისთვის, ხოლო მიღებული ცოდნა კი შესაძლებლობას აძლევს მსმენელებს დასაქმებდნენ დარგში, ან მართონ საკუთარი საოჯახო მარანი, ანუ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ სხვადასხვა მეურნეობაში და/ან ააწყონ საკუთარი ბიზნესი.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია - სრული ზოგადი განათლება, მსმენელთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ოთხი სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამაზე მოთხოვნილია 15 მსმენელი, პროგრამის ხანგრძლივობაა 11 კვირა. თეორიული სწავლება დაგეგმილია ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრში, ხოლო პროგრამის პრაქტიკულ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება საჩხერეში, უ. მ.-ის მარანში, შესაბამისად პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, აღნიშნული გაწერილია წარმოდგენილ მსმენელთა შეფასების წესში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება ორი განმახორციელებლი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერების და წარმოდგენილი სასწავლო რესურსის შედეგად.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი ახორციელებს ორ პროფესიული მომზადების პროგრამას, შესაბამისად მესამე სტანდარტი - პროგრამის ადმინისტრირება სტანდარტთან შესაბამისობაშია. ერთი პროგრამა დასრულებულია, ხოლო მეორე სრულდება უახლოეს პერიოდში, ჯამში ორივე პროგრამაზე 23 მსმენელი ჰყავს დაწესებულებას. რა შეეხება 3.7 ქვესტანდარტს, ცენტრს სერტიფიკატები ჯერ არ გაუცია, მათ ხარისხის ცენტრში შეტანილი აქვთ განაცხადი ენობრივ სისწორეზე და ელოდებიან პასუხს, შემდეგ ეტაპზე მიმართავენ სტამბას სერტიფიკატების დაბეჭდვის შესახებ.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარმოდგენისთვის, დასძინა, რომ კითხვები არ ჰქონდა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, დაადასტურა რეგიონისთვის აღნიშნული პროგრამის განხორციელდების მნიშვნელობა და აქტუალობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ხელს შეუწყობდა რეგიონის განვითარებას.

ცენტრის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურმა ცენტრმა ვიზიტის შემდეგ გადმოგზავნა პარტნიორ კომპანიასთან ამ პროგრამის მიზნებისთვის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც მიეწოდა საბჭოს წევრებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01882/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს (ს/კ: 412759242) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ღვინის დამზადება საოჯახო მარანში /01882/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „თაფლის წარმოება“ /01880/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12

მარტის №291937 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ 2024 წლის 27 მარტს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „თაფლის წარმოება“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 1.1, 1.6, 1.9 და 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ,

ქვესტანდარტი 1.1 - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს

რეკომენდებულია მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში მიმოხილული იყოს დარგის მნიშვნელობა, სტატისტიკური ანალიზი, ან საკუთარი კვლევის შედეგები, რითაც დაწესებულება უფრო ნათლად დაასაბუთებდა პროგრამის განხორციელების საჭიროებას. ასევე, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ქვესტანდარტი - 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის სწავლის შედეგებში, ასევე, თემატიკაში არ არის ნახსენები თაფლის ხარისხის კრიტერიუმები და სურსათის უვნებლობის თანამედროვე მოთხოვნები. რეკომენდებულია მეოთხე სწავლის შედეგის თემატიკას დაემატოს აღნიშნული საკითხები, რადგან მნიშვნელოვანია, თაფლის მწარმოებელმა იცოდეს ხარისხიანი თაფლის წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

რეკომენდებულია დაწესებულებამ მემორანდუმი ჩაანაცვლოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად. ასევე, მემორანდუმში გასწორდეს პროგრამის სახე, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა არის მომზადების, ხოლო მემორანდუმში წერია გადამზადების.

ქვესტანდარტი 2.4 – სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში

აღნიშნული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია, სამუშაო ოთახში და აუდიტორიაში, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული იყოს საფუტკრეში მუშაობის უსაფრთხოების წესები და ხელმისაწვდომი იყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთი.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა პირველი სტანდარტი და მეორე სტანდარტის 2.1, 2.2 და 2.3 ქვესტანდარტი, რაც შეეხება 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტს, ანალოგიურად შეფასდა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის მიერ.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ჭიათურა, ძნები დეკანოზიშვილების ქ. №1.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი - “თაფლის წარმოების” პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც გაწერილია, რომ ჭიათურა სამრეწველო, მაღაროების ქალაქია. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მაღარო დასაქმების მთავარი ობიექტია, რაც გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული.

ქალაქში უნდა არსებობდეს ალტერნატიული დასაქმების ადგილები, რომ არ მოხდეს მოსახლეობის ქალაქიდან გადინება და ადგილობრივ ახალგაზრდებს, და არამარტო მათ,

ჰქონდეთ საშუალება საკუთარ ქალაქშივე დასაქმდნენ, შესაბამისად ქალაქის სტრუქტურა შეიცვლება, სამეწარმეოს ნაცვლად ჭიათურა გახდება ტურისტული ქალაქი. GM-ისთვის პრიორიტეტულია შეიქმნას ადგილობრივებისთვის დასაქმების პერსპექტივა საკუთარ ქალაქში GM-ის სოციალური პასუხისმგებლობაა, შექმნას და პარტნიორობა გაუწიოს ისეთ პროგრამებსა და ბიზნესებს (მცირე ბიზნესებს), როლმებიც ხელს შეუწყობს ჭიათურის ტურისტულ ქალაქად გადაწყობას. GM-ის მხარდაჭერით ცენტრი ახორციელებს არაერთ პროგრამას, რომელიც ავითარებს ქალაქს ტურისტული პოტენციალისა და მეურნეობის მიმართულებით დაწინაურებაში. აღსანიშნავია, რომ ,,თაფლის წარმოების'' პროფესიული მომზადების პროგრამა არაფორმალური განათლების ფარგლებში, საპილოტე რეჟიმში წარმატებით განხორციელდა ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის მიერ. პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობაში. მომართვიანობა იყო საკმაოდ მაღალი. სწორედ ესეც პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია თაფლის წარმოების სფეროში.

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს 7 სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 10 მსმენელი, წარმოდგენილი პროგრამის თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან ცენტრის სასწავლო სივრცეში (A გარემო), სადაც არის 15 მსმენელის სამუშაო/სასწავლო ადგილი. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან სოფელ მანდაეთში არსებულ მეფუტკრეობის მეურნეობაში, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 10 მსმენელის მიღება. ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გამოეთქვა მოსაზრება გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გათვალისწინებული იქნებოდა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ სასურველია ზედმიწევნით იყოს გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რაც გაცემული იქნა ვიზიტის დროს.

ცენტრის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურმა ცენტრმა ვიზიტის შემდეგ გადმოგზავნა პარტნიორ კომპანიასთან ამ პროგრამის მიზნებისთვის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც მიეწოდა საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „თაფლის წარმოება“ /01880/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს (ს/კ: 412759242) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თაფლის წარმოება /01880/ **(დანართი 3).**

4. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი“ /01873/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 მარტის №291932 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ტიტე მეძმარიაშვილმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი',' ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92-ში.

ზემოთ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ვიზიტი უნდა განხორციელებულიყო პროგრამის განხორციელების ადგილზე, შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8-ში, სადაც მდებარეობს კოლეჯ ,,ბლექსის“ დამატებითი ფართი, თუმცა შექმნილი უამინდობის გამო, ვიზიტი განხორციელდა კოლეჯში, ბათუმში, ლერმონტოვის ქ. №92-ში.

კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის, სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის დათვალიერება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ,

ქვესტანდარტი 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა,

უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

პროგრამის განხორციელების ადგილი (ველური ბუნება) წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც ადამიანის (გამყოლის) ფიზიკურ მდგომარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯგუფის უსაფრთხოებისთვის, ამიტომ, დარგის ექსპერტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მსმენელებმა წარმოადგინონ „სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ფიზიკური ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამგვარი მოთხოვნა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტის წარმოქმნისას აარიდებს კოლეჯს სამართლებრივ პრობლემებს და უზრუნველყოფს მომსახურეობის მაღალ დონეს.

სალომე ქუთათელაძემ მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯმა პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული გადამზადების პროგრამის დასაბუთება.

დოკუმენტის თანახმად პროგრამის დანერგვის საჭიროება დაკავშირებულია ბოლო წლებში მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარებასთან, რამაც გაზარდა ტურისტების ოდენობა და ასევე, გაიზარდა მოთხოვნა სალაშქრო ტურებზე. აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო წარმოადგენენ დამკვეთებს, რათა რეგიონში არსებობდეს მაღალკვალიფიციური, სერტიფიცირებული სალაშქრო ბილიკების გამყოლები.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ: აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს, აჭარის მოლაშქრეთა ასოციაციის, აჭარის გიდების ასოციაციის, მტირალას ეროვნული პარკის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფების ფარგლებში იდენტიფიცირებულ იქნა ის ცოდნა და უნარები, რაც სამუშაო ჯგუფებში ჩართულ პირთა აზრით, უნდა გააჩნდეს სალაშქრო გამყოლს.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია, არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება, ასევე, სამუშაო/პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტზე გასაუბრების დროს დადგინდა, რომ აპლიკანტთა შერჩევის მიზნით გასაუბრებაზე გამოყენებული იქნება შეფასების კრიტერიუმები.

კოლეჯს, პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის განსაზღვრული ჰქონდა მეოთხე დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ განისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 კვირა, რომელიც მოიცავს 260 საკონტაქტო საათს. პროგრამის სწავლება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება C სასწავლო გარემოში (შუახევის, ხელვაჩაურის, ქედას, ხულოს, ქობულეთის სალაშქრო ბილიკებზე და ხელვაჩაურის სოფელ აჭარისწყალში). პრაქტიკული სწავლების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე.
სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლის შედეგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების: სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს თანამშრომლობით.
აღნიშნულ ორგანიზაციებთან კოლეჯს გაფორმებული აქვს პარტნიორობის ხელშეკრულებები პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების შესახებ. სააგენტო მისცემს კოლეჯს შესაძლებლობას წარმართოს სასწავლო პროცესი ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში (აჭარისწყლის საინფორმაციო ცენტრი).
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. კოლეჯს ჰყავს განსაზღვრული 12 განმახორციელებელი პირი, რომლებიც არიან კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები და პარტნიორი ორგანიზაციის, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირებული ინსტრუქტორები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ კოლეჯს აქვს აუცილებელი რესურსი პროგრამის განხორციელებისთვის. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია.
კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან;
კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ვებგვერდის, სოციალური ქსელის, მედიის და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით;
კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს;
კოლეჯი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს სერტიფიკატს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს გაცემული იქნა რეკომენდაციები, რაც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ, რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, მას არ ჰქონდა სხვა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ პარტნიორებთან იმსჯელეს რეკომენდაციებთან დაკავშირებით და დასძინა, რომ იზიარებენ და აუცილებლად გათვალისწინებული იქნებოდა გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი“ /01873/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი /01873/ **(დანართი 4).**

5. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ /01420/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 05 დეკემბრის №1544151 გადაწყვეტილებით მოიპოვა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,საცხენოსნო ტურის გამყოლი" განხორციელების უფლება. პროგრამა წარმატებით განხორციელდა და სკოლას ჰყავს 11 კურსდამთავრებული. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2024 წლის პირველ თებერვალს შემოვიდა სკოლის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №102351), რომლის მიხედვით, არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლის ადმინისტრაციისა და დარგის ექსპერტების/პროგრამის განმახორციელებლების შეფასებით, პროგრამის საერთაშორისო სტანდარტთან მიახლოებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ითხოვს, აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, პროგრამის მოცულობის, სწავლის შედეგების, საკვალიფიკაციო დონის და პროგრამის დაშვების წინაპირობების ცვლილებას. წერილთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი პროფესიული გადამზადების პროგრამა „საცხენოსნო ტურის გამყოლი". საქმისწარმოების შემდეგი ეტაპების განსახორციელებლად, საბჭოს აპარატმა განიხილა წერილები და მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის განხორციელება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში, ვიზიტის გარეშე, დოკუმენტაციის შესწავლის გზით. (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი №136672,09.02.2024). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 მარტის №289233 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ, ვიზიტის განხორციელების გარეშე, შეისწავლა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული პროფესიული გადამზადების პროგრამა „საცხენოსნო ტურის გამყოლი", კერძოდ პირველი სტანდარტი.

პროგრამის შესწავლის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

სალომე ქუთათელაძემ მოკლედ მიმოიხილა ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ დაფიქსირდა ცვლილება 1.3 ქვესტანდარტის ფარგლებში „მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან", კერძოდ, ამოღებულ იქნა შემდეგი ჩანაწერი: ,,პროგრამის დამატებითი ღირებულებაა ისიც, რომ საცხენოსნო ტურის გამყოლები შეისწავლიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების საბაზისო უნარებს''. განახლებული პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ,,პროგრამის მიზანია გადაამზადოს და საქართველოს შრომის ბაზარს მიაწოდოს საცხენოსნო ტურის კვალიფიციური გამყოლები, რომლებიც როგორც კომპეტენეტური გამყოლები, გაუძღვებიან: ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის და ხანგრძლივობის საცხენოსნო ტურისტულ მარშრუტებზე, გაუკვალავ და მონიშნულ ბილიკებზე და თოვლიან ზედაპირზე, იქ სადაც გამორიცხულია ზვავსაშიშროება. საცხენოსნო ტურის გამყოლის საქმიანობა იზღუდება მყინვარებზე". ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

დაფიქსირდა ცვლილება 1.4 ქვესტანდარტის ფარგლებში „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში". კერძოდ: განისაზღვრა მსმენელთა პროგრამაზე დაშვების ასაკი - 18 წელი; საცხენოსნო ტურიზმის /საცხენოსნო სპორტში 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნა შეიცვალა და განისაზღრა 2 წელი. ამოღებულ იქნა დაშვების წინაპირობებიდან პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატის წარმოდგენის მოთხოვნა, რადგან პროგრამის სწავლის შედეგებს ემატება პირველადი გადაუდებელი დახმარების შესწავლა. ამოღებულ იქნა ჩანაწერი საცხენოსნო ტურიზმში/საცხენოსნო სპორტში პრაქტიკული გამოცდილება, დადასტურებული სპორტული

ორგანიზაციის და/ან კორპორატიული, ასევე ინდივიდუალური დამსაქმებლის მიერ (მინიმუმ 1 წელი), ასევე, მხედრობის უნარები (ყველა ალური); დაშვების წინაპირობებს დაემატა შემდეგი სახის მოთხოვნები: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები, ასევე, მსმენელმა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა. დაემატა კურსზე დაშვების „საკონკურსო ტური", სადაც უნდა შეძლონ უნარ-ჩვევების კომბინაციის დემონსტრირება დარგის მიმართულებით, ტური შეფასდება 1-6 ქულიანი სისტემით.
დაფიქსირდა ცვლილება 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ, სკოლას პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის „საცხენოსნო ტურის გამყოლი" განსაზღვრული ჰქონდა მეოთხე დონე, ხოლო წარმოდგენილი პროგრამაში განსაზღვრული აქვს მეხუთე დონე.
პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
დაფიქსირდა ცვლილება 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, წარმოდგენილი ახალი პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრულია 12 სწავლის შედეგი.
დაფიქსირდა ცვლილება 1.7 ქვესტანდარტის ფარგლებში, წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამით სწავლის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 10 კვირა, 360 საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 36 საათი. მსმენელთა საერთო რაოდენობა ჯგუფში განსაზღვრულია 12, მინიმალური - 4 და მაქსიმალური - 6.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ შეცვლილი პროგრამის პარამეტრებია: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული;
მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12; პროგრამის განხორციელების ადგილი -გუდაური, გონდოლას ზედა სადგური; დუშეთის რაიონი; თეთრი წყაროს რაიონი, სოფ.ღვევი; სიღნაღის რაიონი, დასახლება ქედელი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდა კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი" /01420/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საბჭოს აპარატის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (ს/კ: 429322985) „საცხენოსნო ტურის გამყოლის" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 5 დეკემბრის №1544151

გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5).**

6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი“ /01659/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 აგვისტოს №1031398 გადაწყვეტილებით მოიპოვა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ჯომარდობის გამყოლი“ განხორციელების უფლება.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2024 წლის 30 იანვარს შემოვიდა სკოლის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №88561), რომლის მიხედვით, არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლის ადმინისტრაციისა და დარგის ექსპერტების/პროგრამის განმახორციელებლების შეფასებით, პროგრამის საერთაშორისო სტანდარტთან მიახლოებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ითხოვს, აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ახალი პარტნიორის დამატებას, ასევე, პროგრამის მოცულობის, განხორციელების ადგილის, სწავლის შედეგების, საკვალიფიკაციო დონის, პროგრამის დაშვების წინაპირობების ცვლილებებს. წერილთან ერთად სკოლამ
წარმოადგინა შეცვლილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,ჯომარდობის გამყოლი''.

საქმისწარმოების შემდეგი ეტაპების განსახორციელებლად, ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს აპარატმა განიხილა წერილები და მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის განხორციელება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში, ვიზიტის გარეშე, დოკუმენტაციის შესწავლის გზით. (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი
№136672.09.02.2024). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 მარტის №292328 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ, ვიზიტის

განხორციელების გარეშე შეისწავლა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული პროფესიული გადამზადების პროგრამა, კერძოდ პირველი სტანდარტი.
პროგრამის შესწავლის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დაფიქსირდა ცვლილება 1.3 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, შევიდა შინაარსობრივი ცვლილება და პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით, პროგრამის მიზანია გადაამზადოს ჯომარდობის გამყოლი - სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია გაუძღვეს ტურისტს/ტურისტების ჯგუფს 2 -ე კატეგორიის საწყლოსნო მარშრუტზე. ჯომარდობის გამყოლი არის პიროვნება, რომელსაც აქვს უნარი, ცოდნა და გამოცდილება უსაფრთხოდ და კომპეტენტურად მართოს საჯომარდო ნავი (RAFT) მდინარეზე, როგორც გამოუცდელი მომსმელების (მენიჩბეების) გუნდის კაპიტანმა. გამყოლს ასევე უნდა შეეძლოს იმოქმედოს როგორც გამყოლების გუნდის წევრმა.
პროგრამა მიზნად ისახავს, რომ პრაქტიკოს გამყოლს სრულად შეასწავლოს სამაშველო სამუშაოების ძირითადი პრინციპები, მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება, მდინარეზე დაშვებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, საჯომარდო ტურის განხორციელება, ნავის მართვის ტექნიკა, საჯომარდო ნავის აღჭურვილობის სტანდარტები, მოვლა და შენახვა, ინსტრუქტაჟის ჩატარება; ასევე, პირველადი გადაუდებელი დახმარების საბაზისო უნარები და სათავგადასავლო ტურიზმის ძირითადი კომპეტენციები.
დაფიქსირდა ცვლილება 1.4 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ: დაშვების წინაპირობებს დაემატა შემდეგი სახის მოთხოვნები: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები; მსმენელმა უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა. დაემატა კურსზე დაშვების წინაპირობად „საკონკურსო ტური“. აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებში განსაზღვრულ აპლიკანტის მიერ წარმოსადგენ აღჭურვილობას დაემატა „როლიკები“.
დაფიქსირდა ცვლილება 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ, სკოლას პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის „ჯომარდობის გამყოლი“ განსაზღვრული ჰქონდა მეოთხე დონე, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტით დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს მეხუთე დონე.
  პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით, სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
დაფიქსირდა ცვლილება 1.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში, წარმოდგენილ გადამზადების პროგრამაში სწავლის შედეგები შეცვლილია, კერძოდ, გაერთიანებულია მე-3, მე-4 და მე-5 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბებულია ერთი სწავლის შედეგის სახით „მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება“. ამდენად სკოლამ წარმოდგენილ გადამზადების პროგრამაში განსაზღვრა 7 სწავლის შედეგი.
დაფიქსირდა ცვლილება 1.7 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, გაიზარდა პროგრამის საათობრივი დატვირთვა და პროგრამის განხორციელების ადგილებს დაემატა ახალი ლოკაციები. წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამით სწავლის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 3 კვირა, 120 საათი, (იყო 110 საათი) კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 40 საათი (იყო 35 საათი). მსმენელთა საერთო რაოდენობა ჯგუფში განსაზღვრულია 10, მინიმალური - 3 და მაქსიმალური - 5.
პროგრამა ხორციელდება სპეციფიურ C-სასწავლო გარემოში, მდინარეზე და მდინარის პირას. სპეციფიკისა და უსაფრთხოების ზომების შესაბამისად ექსპერტისა და მსმენელების თანაფარდობა უნდა იყოს 1/5 - თან. პროგრამის სწავლება განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ ლოკაციაზე (მდინარე რიონი, ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა) და ასევე, დაემატება ახალი ლოკაციებიც: მდინარე რიონი (სოფ. ზოგიშის მიმდებარედ); მდინარე ხობის

წყალი (სოფ. მუხურის მიმდებარედ). აღნიშნულ ლოკაციებზე შესაძლებელი იქნება წყალში განსახორციელებელი სამაშველო სამუშაოების ბევრად ეფექტურად სწავლება.
დაფიქსირდა ცვლილება 1.9 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, სკოლამ დაამატა პროგრამის სწავლებისთვის პარტნიორი ორგანიზაცია. სკოლას განსაზღვრული ჰყავდა 1 პარტნიორი ორგანიზაცია „ი/მ თ. ფ.'', წარმოდგენილი გადამზადების პროგრამის მიხედვით სკოლამ დაამატა კიდევ ერთი პარტნიორი ორგანიზაცია შპს „საქართველოს სწრაფი წყლების საწვრთნელი ცენტრი", რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მე-3 სწავლის შედეგის „მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება" სწავლებას.
სკოლამ წარმოადგინა აღნიშნულ პარტნიორ ორგანიზაციასთან 2024 წლის, 29 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის სწავლებას განახორციელებს Rescue 3 Europe - ის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი, რომელსაც აქვს საერთაშორისო გამყოლის ლიცენზია (Whitewater Rescue Technician – Professional და IRF - International Rafting Federation). კურსდამთვრებულს მიენიჭება მდინარის პროფესიონალი მაშველი - ტექნიკოსის საერთაშორისო კვალიფიკაცია და გადაეცემა სერთიფიკატი (Whitewater Rescue Technician – Professional).
სალომე ქუთათელაძემ წარმოადგინა შეცვლილი პროგრამის პარამეტრები: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 3 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი - მდინარე რიონი (ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა); მდინარე რიონი (სოფ.ზოგიშის მიმდებარედ); მდინარე ხობის წყალი (სოფ. მუხურის მიმდებარედ).

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდა კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი" /01659/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საბჭოს აპარატის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (ს/კ: 429322985) „ჯომარდობის გამყოლის" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 აგვისტოს №1031398 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 6).**

7. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გიდი“ /01498/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 05 დეკემბრის №1545941 გადაწყვეტილებით მოიპოვა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ჯომარდობის გიდი“ განხორციელების უფლება. პროგრამა წარმატებით განხორციელდა და სკოლას ჰყავს 7 კურსდამთავრებული. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2024 წლის 30 იანვარს შემოვიდა სკოლის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №88477), რომლის მიხედვით, არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლის ადმინისტრაციისა და დარგის ექსპერტების/პროგრამის განმახორციელებლების შეფასებით, პროგრამის საერთაშორისო სტანდარტთან მიახლოებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ითხოვს, აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტის განხორციელებაში ახალი პარტნიორის დამატებას, ასევე, პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, მსმენელთა რაოდენობის, განხორციელების ადგილის, სწავლის შედეგების, საკვალიფიკაციო დონის, პროგრამის დაშვების წინაპირობების ცვლილებებს. წერილთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,ჯომარდობის გამყოლი''. საქმისწარმოების შემდეგი ეტაპების განსახორციელებლად, საბჭოს აპარატმა განიხილა წერილები და მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის განხორციელება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში, ვიზიტის გარეშე, დოკუმენტაციის შესწავლის გზით. (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი №136672.09.02.2024). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 მარტის №292326 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების გარეშე შეისწავლა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული პროფესიული გადამზადების პროგრამა, „ჯომარდობის გამყოლი“ პროგრამის სტანდარტის (პროფესიული მომზადების

პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების I სტანდარტი)
შესრულების შემოწმების მიზნით.
დაფიქსირდა ცვლილება 1.2 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, პროგრამის სახელწოდება ,,ჯომარდობის გიდის'' მაგივრად განისაზღვრა ,,ჯომარდობის გამყოლი". დაწესებულებას პროგრამის სახელწოდებად განსაზღვრული ჰქონდა ,,ჯომარდობის გიდი", სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებაში ქართული ტერმინოლოგიის დამკვიდრების მიზნით, გადამზადების პროგრამის სახელწოდებად განისაზღვრა „ჯომარდობის გამყოლი". პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება ,,ჯომარდობის გამყოლი" შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.
დაფიქსირდა ცვლილება 1.3 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, შევიდა შინაარსობრივი ცვლილება და პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით, პროგრამის მიზანია გადაამზადოს ჯომარდობის გამყოლი - სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია გაუძღვეს ტურისტს/ტურისტების ჯგუფს მეორე კატეგორიის საწყლოსნო მარშრუტზე. ჯომარდობის გამყოლი არის პიროვნება, რომელსაც აქვს უნარი, ცოდნა და გამოცდილება უსაფრთხოდ და კომპეტენტურად მართოს საჯომარდო ნავი (RAFT) მდინარეზე, როგორც გამოუცდელი მომსმელების (მენიჩბეების) გუნდის კაპიტანმა. გამყოლს, ასევე უნდა შეეძლოს იმოქმედოს, როგორც გამყოლების გუნდის წევრმა.
პროგრამა მიზნად ისახავს, რომ პრაქტიკოს გამყოლს სრულად შეასწავლოს სამაშველო სამუშაოების ძირითადი პრინციპები, მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება, მდინარეზე დაშვებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, საჯომარდო ტურის განხორციელება, ნავის მართვის ტექნიკა, საჯომარდო ნავის აღჭურვილობის სტანდარტები, მოვლა და შენახვა, ინსტრუქტაჟის ჩატარება; ასევე, პირველადი გადაუდებელი დახმარების საბაზისო უნარები და სათავგადასავლო ტურიზმის ძირითადი კომპეტენციები.
დაფიქსირდა ცვლილება 1.4 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ: დაშვების წინაპირობებს დაემატა შემდეგი სახის მოთხოვნები: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები; მსმენელმა უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა. 2 წლიანი გამოცდილების ნაცვლად განისაზღვროს მე-2 კატეგორიის მდინარეზე 10 ან ან 20-საათზე მეტი დაშვების 1 წლიანი გამოცდილება. ამოღებულ იქნას ინგლისური ენის საბაზოსო ცოდნის მოთხოვნა. ამოღებულ იქნას პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატის წარმოდგენა აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებში განსაზღვრულ აპლიკანტის მიერ წარმოსადგენ აღჭურვილობას დაემატა „როლიკები".
დაფიქსირდა ცვლილება 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში, სკოლას პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის „ჯომარდობის გამყოლი" განსაზღვრული ჰქონდა მეოთხე დონე, ხოლო წარმოდგენილი პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს მეხუთე დონე. პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით, სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
დაფიქსირდა ცვლილება 1.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ, სკოლას გადამზადების პროგრამაში გათვალისწინებული ჰქონდა 14 სწავლის შედეგი: სკოლამ პირველი 6 სწავლის შედეგი გააერთიანა და ჩამოაყალიბა ერთი სწავლის შედეგის სახით, „შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში", ასევე, გაერთიანდა მე-8, მე-9 და მე-10 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდა ერთი სწავლის შედეგის სახით, „მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება". ამდენად, წარმოდგენილ გადამზადების პროგრამაში განსაზღვრულია 7 სწავლის შედეგი.

დაფიქსირდა ცვლილება 1.7 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, გაიზარდა პროგრამის საათობრივი დატვირთვა და შემცირდა მსმენელის რაოდენობა, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილებს დაემატა ახალი ლოკაციები.
წარმოდგენილ პროფესიული გადამზადების პროგრამით სწავლის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 3 კვირა, 120 საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 40 საათი. მსმენელთა საერთო რაოდენობა ჯგუფში განსაზღვრულია 10, მინიმალური - 3 და მაქსიმალური - 5. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილი ისწავლება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის A - სასწავლო გარემოში, რომელიც ასევე, შესაძლებელია ფორსმაჟორულ სიტუაციაში განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. პრაქტიკული კომპონენტის სწავლება განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ ლოკაციებზე და ასევე, დაემატება ახალი ლოკაციებიც: მდინარე მტკვარი (სოფ, ჩითახევის მიმდებარედ); მდინარე ხრამი (სოფ. დისველის მიდებარედ); მდინარე ფშავის არაგვი (სოფ. მაღაროსკარის მიმდებარედ); მდინარე თერგი (სოფ. ფხლეშეს მიმდებარედ).
დაფიქსირდა ცვლილება 1. 9 ქვესტანდარტის ფარგლებში, კერძოდ, კერძოდ, სკოლამ დაამატა პროგრამის სწავლებისთვის პარტნიორი ორგანიზაცია.
სკოლას განსაზღვრული ჰყავდა 2 პარტნიორი ორგანიზაცია : „რაფტ ინ ჯორჯია'' და ,,სათავგადასავლო კლუბი ჯომარდი", წარმოდგენილი გადამზადების პროგრამის მიხედვით სკოლამ დაამატა კიდევ ერთი პარტნიორი ორგანიზაცია შპს „საქართველოს სწრაფი წყლების საწვრთნელი ცენტრი", რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მე-3 სწავლის შედეგის „მდინარეზე უსაფრთხოდ ოპერირება და ეფექტური სამაშველო საქმიანობის წარმოება" სწავლებას.
სკოლამ წარმოადგინა აღნიშნულ პარტნიორ ორგანიზაციასთან 2024 წლის, 29 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის სწავლებას განახორციელებს Rescue 3 Europe-ის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი, რომელსაც აქვს საერთაშორისო გამყოლის ლიცენზია (Whitewater Rescue Technician – Professional და IRF - International Rafting Federation). კურსდამთვრებულს მიენიჭება მდინარის პროფესიონალი მაშველი - ტექნიკოსის საერთაშორისო კვალიფიკაცია და გადაეცემა სერთიფიკატი (Whitewater Rescue Technician – Professional).
სალომე ქუთათელაძემ წარმოადგინა შეცვლილი პროგრამის პარამეტრები: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 3 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი -მდინარე არაგვი (სოფ.თვალივი; სოფ.ამირნი), მდინარე მტკვარი (სოფ. ჩითახევის მიმდებარედ); მდინარე ხრამი (სოფ. დისველის მიმდებარედ); მდინარე ფსავის არაგვი (სოფ.მაღაროსკარის მიმდებარედ); მდინარე თერგი (სოფ.ფხლეშეს მიმდებარედ).
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია წარმოდგენილ პროგრამებში ცვლილებები, მან დასძინა, რომ სამივე პროგრამას უკვე ახორციელებდა დაწესებულება, მინიმუმ თითო ნაკადი მაინც იქნა ამ პროგრამებზე მიღებული, შესაბამისად საინტერესო იქნებოდა მოესმინა საბჭოს, ამ ცვლილებების შესახებ, სასწავლო პროცესში გამოიკვეთა, თუ საერთაშორისო სტანდარტებთან მორგებამ, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებამ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სალომე ქუთათელაძეს, ჩართული იყო თუ არა ამ პროცესში დარგის ექსპერტი, რაზეც სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ დარგის ექსპერტი არ იყო ჩართული, თუმცა საქართველოს მთავრობის №131 დადგენილება იძლევა იმის საშუალებას, რომ საბჭოს აპარტის მიერ იქნას შესწავლილი პროგრამები, მან დასძინა, რომ დარგის ექსპერტთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდა კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გიდი“ /01498/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საბჭოს აპარატის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (ს/კ: 429322985) „ჯომარდობის გიდი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გიდის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 5 დეკემბრის №1545941 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01852	გემის ხარატი-შემდუღებელი	გადამზადება	მესამე	22	ქართული	20	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01882	ღვინის დამზადება საოჯახო მარანში	მომზადება	მეოთხე	11	ქართული	15	ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01880	თაფლის წარმოება	მომზადება	მეოთხე	8	ქართული	10	ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01873	მთიანი აჭარის სალაშქრო ბილიკების გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	12	შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01420	საცხენოსნო ტურის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	10	ქართული	12	დაბა გუდაური, გონდოლას ზედა სადგური; დუშეთის რაიონი; თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. ღვევი; სიღნაღის რაიონი, დასახლება ქედელი

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01659	ჯომარდობის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	3	ქართული	10	მდინარე რიონი (ცაგერის მუნიციპალიტ ეტი, სოფელი ალპანა); მდინარე რიონი (სოფ. ზოგიშის მიმდებარედ); მდინარე ხობის წყალი (სოფ. მუხურის მიმდებარედ)

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01498	ჯომარდობის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	3	ქართული	10	დაბა გუდაური, გონდოლას ზედა სადგური; მდინარე არაგვი (სოფელ თვალივი) ,,სათავგადა სავლო კლუბი ჯომარდი'' ; მდინარე არაგვი (სოფელი ამირნი) ,,რაფტ ინ ჯორჯია''; მდინარე მტკვარი (სოფ, ჩითახევის მიმდებარედ); მდინარე ხრამი (სოფ. დისველის მიდებარედ); მდინარე ფშავის არაგვი (სოფ. მაღაროსკარის მიმდებარედ); მდინარე თერგი (სოფ. ფხლეშეს მიმდებარედ)